ნათია ლაპიაშვილი

ევროკავშირის სამართლის მოდულებში ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა[1]

სტატიის მოკლე მიმოხილვა

სტატია მიმოიხილავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის პროფესორ დოქტორ ნათია ლაპიაშვილის მიერ ევროკავშირის სამართლის მოდულებში დანერგილ ინოვაციური სწავლების მეთოდებს. ნაშრომი აანალიზებს ტრადიციული სწავლების მეთოდის (ლექცია-სემინარების სახით) კომბინაციის შესაძლებლობებს ისეთ ინოვაციურ მეთოდებთან, როგორებიცაა პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (Problem-Based Learning / PBL), დისტანციური სწავლება და სიმულაციები. აღნიშნული სწავლების მეთოდები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებსა და კაზუსებზე მსჯელობისას შეასრულონ გადაწყვეტილების მიმღები პირის როლი, რაც იწვევს მათი ინტერესის გაზრდას და შედეგად, ცოდნის გაღრმავებას.

ლექციების ჩატარების ტრადიციული მოდელი განათლების მიღების მნიშვნელოვან ნაწილად რჩება, თუმცა აღნიშნული ტიპის სწავლება, როგორც წესი, მიიჩნევა ლექტორზე ორიენტირებულ სწავლებად, სტუდენტზე ფოკუსირებული ინოვაციური სწავლების მეთოდების საპირისპიროდ. ტრადიციული სააუდიტორიო სწავლების მეთოდი ემსახურება სისტემატიური თეორიული ცოდნისათვის საფუძვლის ჩაყრას, ხოლო ზემოხსენებული ინოვაციური სწავლების მეთოდების მიზანია სტუდენტებს განუვითაროს სხვადასხვა სამართლებრივი პრინციპებისა და წესების დამოუკიდებლად შეფასებისა და კრიტიკის უნარი მათ მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლექციები უკვე აღარ ატარებენ მონოლოგის ფორმას, არამედ თეორიული საკითხების განხილვის მნიშვნელოვან ნაწილს დისკუსიები წარმოადგენს. ცხადია, დამოუკიდებლად მუშაობისა და ანალიზის წახალისების მიუხედავად, სტუდენტებს მაინც ესაჭიროებათ დარგის სპეციალისტის ზედამხედველობა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ კომპლექსურ საგანს, როგორიცაა ევროკავშირის სამართალი. ინოვაციური სწავლების კუთხით, პროფესორის გაწეული ძალისხმევა გამოიხატება რეალური ცხოვრებიდან აღებული სიტუაციების შემცველი კაზუსების შედგენა-გამოყენებასა და კონკურენტუნარიანი, ჩართულობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნაში. საერთო ჯამში, მსგავსი დამოკიდებულება იწვევს სტუდენტების ინტერესის ზრდას სასწავლო დისციპლინის მიმართ და ხელს უწყობს საფუძვლიანი განათლების მიღებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება შესაძლოა ნაკლებად ეკონომიური იყოს დროის თვალსაზრისით, ვინაიდან იგი მოითხოვს სილაბუსით გათვალისწინებული თემების გულდასმით დაგეგმვას კურსის პროგრამის სრულად დაფარვის მიზნით.

ნაშრომი მიმოიხილავს აღნიშნულ სამ ინოვაციურ მეთოდს ცალ-ცალკე ევროკავშირის სამართლის კურსების ფარგლებში გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოების მაგალითზე. პირველად განხილულია პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (PBL), რომელიც ეფუძნება სტუდენტების აქტიურ დამოუკიდებელ მუშაობას შესაბამისი აკადემიური კურსის ირგვლივ კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათზე სავარაუდო პასუხების მოძიების სახით. ასევე, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის წარმატებით გამოყენება დიდად არის დამოკიდებული ლექტორის მიერ გულდასმით შერჩეულ და შემუშავებულ პრობლემებზე, რაც სტიმულს აძლევს სტუდენტებს, აწარმოონ დამო-

1 სამუშაო დოკუმენტის სახით გამოქვეყნდა: 'Implementing Innovative Teaching Methods in European Union Law Modules' INOTLES Working Papers, No.5/2017, at http://www.inotles.eu/working-papers

უკიდებელი კვლევა, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და შეიმუშავონ პრობლემების შესაძლო გადაწყვეტები. იმდენად რამდენადაც პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება ახალისებს დინამიურ და ჩართულობაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, იგი უბიძგებს სტუდენტებს, გაიღრმავონ ცოდნა შესაბამისი დისციპლინის ირგვლივ, ეხმარება მათ, განუვითარდეთ თავდაჯერებულობა და თვითდისციპლინა, ხოლო ლექტორს ენიჭება უფრო მეტად დისკუსიების მოდერატორის, ვიდრე ხელმძღვანელის ფუნქცია. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებისას დავალებებში დასმული ამოცანები, როგორც წესი, რეალურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს უკავშირდება. მათზე არ არსებობს, სწორი ან არასწორი პასუხი; უფრო მეტიც, მათზე პასუხი მოითხოვს სტუდენტების უნარს, იაზროვნონ კრიტიკულად, მოახდინონ მათი ანალიტიკური კითხვების სტრუქტურირება, გამოიყენონ აქამდე არსებული ცოდნა და აქტიურად გამოიკვლიონ იდენტიფიცირებული პრობლემა.

რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, იგი 21-ე საუკუნეში განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. სმართფონების, ტაბლეტების, ნოუთბუქების, ქინდლების, დიჯიტალური წიგნებისა და ონლაინ მონაცემთა ბაზების ეპოქაში, ბიბლიოთეკაში სიარული არც თუ დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. დიჯიტალური ეპოქის სწრაფ განვითარებასთან ერთად შეცდომა იქნებოდა სასწავლო პროცესში სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების გამოყენების შეზღუდვა. ასევე, დღესდღეობით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ვიდეო-ლექციები, მაშინ როდესაც რამდენიმე წლის წინ აღნიშნული პერსპექტივა ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი ერთ-ერთ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს საქართველოში, რომელიც თავის სტუდენტებს მსგავს შესაძლებლობას სთავაზობს. ევროკავშირის სამართლის მოდულში ინტერაქციული ლექციების ვიდეო-ჩანაწერები და სხვა კურსები აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (http://www.ies.tsu.edu.ge). ვიდეო-ლექციების მთავარ უპირატესობებს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მათი ნახვის შემთხვევაში შესაძლებელია შეივსოს სტუდენტების მიერ ლექციების გაცდენით გამოწვეული დანაკლისი; ასევე ეხმარება სტუდენტებს ცალკეული დოქტრინების ან საკითხების უკეთ გაგებაში და აძლევს მათ შესაძლებლობას, ხელახლა მოისმინონ კრიტიკული ნაწილები. სტუდენტებს შეუძლიათ ლექციების ნახვა რამდენჯერაც სურთ, რაც მათ ლექციაზე განხილული ან გამოტოვებული საკითხების აღდგენაში ეხმარებათ. ვიდეო-ლექციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინარული პროგრამების სწავლებისას, სტუდენტების განსხვავებული საგანმანათლებლო ბაზების გათვალისწინებით.

ვიდეო-ლექციების გარდა, ევროკავშირის სამართლის მოდულის ფარგლებში სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ გამოიყენონ პროფესორის პირადი ბლოგი (http://natialaw.blogspot.com/). აღნიშნულ ბლოგზე თავმოყრილია რელევანტური ინფორმაცია აუდიტორიაში განხილული სხვადასხვა სამართლებრივი საკითხებისა და სასამართლო თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ირგვლივ. ბლოგი მოიცავს თემატურად დაჯგუფებულ, ერთმანეთთან დაკავშირებული სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ჩამონათვალს, მათ მოკლე შინაარსებს მთავარ სამართლებრივ პრობლემებზე ფოკუსირებით, სტატისტიკურ მონაცემებს და ასევე თეორიულ სტატიებს სასწავლო კურსების თემების ირგვლივ.

და ბოლოს, სიმულაციური თამაშების მეთოდი, როგორიცაა მაგალითად კაზუსების ჯგუფური განხილვა და იმიტირებული სასამართლო, რომლის დროსაც ხდება სასამართლო მოსმენების იმიტაცია, მიზნად ისახავს სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.როლური თამაშები კარგად არის ცნობილი სამართალმცოდნეობის სტუდენტებს შორის მთელს მსოფლიოში. იმიტირებული სასამართლო შეჯიბრებები, როგორიცაა ფილიპ ჯესსაპის, ვილემ ვისის, ტელდერსის, ჟან პიკტეს, ლაჰსის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა იმიტირებული სასამართლო პროცესები ცნობილი საერთაშორისო შეჯიბრებების სიაში შედის. უმეტესი უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს იმიტირებული სასამართლოს პროცესები რაღაც ფორმით და გარკვეულ დონეზე უტარდებათ, თუმცა ოფიციალურად არ ხდება განათლებაში მათი როლის აღიარება სტუდენტების პროფესიული რეალობისათვის მოსამზადებლად. რეალურად, სიმულაციური თამაშები უაღრესად სასარგებლო სწავლების მეთოდს წარმოადგენს სამართლის ნებისმიერი საგნის სწავლებისას, ვინაიდან ისინი აერთიანებენ საუკეთესო ტრადიციულ სასწავლო მეთოდებს სპეციფიური ხასიათის მქონე დავალებებთან ერთად, როგორიცაა: სამართლებრივი დავის ორგანიზება, ფაქტის გარჩევა მოსაზრებისგან, ფაქტობრივი გარემოების მიმართ კანონის მისადაგება, არგუმენტირება, დამაჯერებელი დასკვნები, სამართლებრივი არგუმენტების დალაგება მათი სუსტი და ძლიერი მხარეების მიხედვით, პროფესიული და ეთიკური ნორმების გათვალისწინება, სამართლებრივი წერის, კვლევების და ზეპირი ადვოკატირების უნარების გაუმჯობესება. სიმულაციურ როლურ თამაშებს, რო-

გორც წესი, მოსდევს ლექტორის შეფასება ე.წ. „ფიდბექის“ ანუ უკუგების სახით, რომელშიც მონაწილეები ლექტორის დახმარებით განიხილავენ მათ შესრულებას და მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს შემდგომ სიმულაციურ თამაშებზე და საჯარო გამოსვლების დროს გასათვალისწინებლად.

ევროპული კვლევების ინსტიტუტში სიმულაციური თამაშები სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ჰიპოთეტური კაზუსები მუშავდება რეალურ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, ხანდახან რამდენიმე გადაწყვეტილების ფაქტების კომბინაციაზე დაყრდნობით. სტუდენტები, როგორც წესი, ორ ჯგუფად იყოფიან - მოსარჩელეებად და მოპასუხეებად. მიწოდებულ ფაქტებზე დაყრდნობით, სტუდენტები აანალიზებენ პრობლემებს, იკვლევენ შესაბამის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, აგზავნიან წერილობით მემორანდუმებს და წარმოადგენენ ზეპირ არგუმენტებს. ევროკავშირის სამართლის კურსებზე ტიპიურ სიმულაციურ თამაშს აქვს შემდეგი სტრუქტურა: მოსარჩელეებსა და მოპასუხეებს ეძლევათ 15-15 წუთი ძირითადი პრეზენტაციებისათვის და 3-3 წუთი კონტრ-არგუმენტებისათვის და კონტრ-არგუმენტებზე საპასუხოდ. მოსამართლის როლს ასრულებს ლექტორი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გამოავლინონ მათი ცოდნა დასმულ სამართლებრივ კითხვებზე პასუხის გაცემით. სტუდენტებს ეძლევათ დრო პრეზენტაციების მოსამზადებლად, რომლის განმავლობაშიც მათ ზოგჯერ უფლება აქვთ გამოიყენონ ინტერნეტი და ზოგჯერ არა. სტუდენტები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს პრეზენტაციების სტრუქტურის შესახებ, მათ შორის, თუ როგორ უნდა გადაინაწილონ როლები და რა არგუმენტები წარმოადგინონ. სტუდენტების შეფასება ხდება მათი გუნდური შესრულების მიხედვით, მათი სამართლებრივი არგუმენტირებისა და ადვოკატირების უნარების გათვალისწინებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი სტუდენტი უფრო ნაკლებად აქტიურია ვიდრე სხვები, პროფესორის პასუხისმგებლობაში შედის ყველა მათგანს მისცეს საუბრის საშუალება. თუკი ზოგიერთ სტუდენტს უკეთესი ლიდერობისა და თვითგამოხატვის უნარი აქვს, სხვებს შესაძლოა მეტი წახალისება დასჭირდეთ იმიტირებულ სასამართლო პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. გასათვალისწინებელია, რომ ევროპული კვლევების ინსტიტუტში მოქმედი ინტერდისციპლინარული პროგრამების გამო აქ სხვადასხვა საგანმანათლებლო ბაზის მქონე სტუდენტები იყრიან თავს. ამდენად, საკუთარი მოსაზრებების სამართლებრივი ტერმინებით გამოხატვა შესაძლოა რთული აღმოჩნდეს იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ბაზა. ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება ევროპისმცოდნეობის ინსტიტუტში სწავლასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ბევრმა სტუდენტმა, რომელიც დასაწყისში პასიური იყო, განსაკუთრებული პროგრესი განიცადა სწავლებისა და სწავლის პროცესის მანძილზე; ყოველდღიური აქტიური დისკუსიების შედეგად გაუმჯობესდა მათი თავდაჯერებულობა სხვების წინაშე ინგლისურ ენაზე საჯარო გამოსვლისა და შეცდომების დაშვების შიშის გარეშე აზრების გამოხატვის კუთხით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენება როგორც ლექტორებს, ასევე სტუდენტებს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. ერთის მხრივ, სწავლების პროცესში სტუდენტების პროაქტიური როლი არ ამცირებს პროფესორების პასუხისმგებლობას, მართონ და გავლენა მოახდინონ სასწავლო პროცესზე. მეორეს მხრივ, ანალიზისა და დისკუსიების გზით სწავლა არ ათავისუფლებს სტუდენტებს აუცილებელი მასალების გაცნობის მოვალეობისგან. მთელი ცხოვრების მანძილზე გამოსაყენებელი, საფუძვლიანი განათლების (life-long learning) მისაღებად წარმატების გასაღებს წარმოადგენს სწორი მოტივაციის შექმნა და ამაში ცენტრალური როლი ინოვატორ ლექტორს ეკისრება. სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და ინტერესებზე ფოკუსირება ხელს უწყობს სწორედ ასეთი, ხარისხიანი განათლების მიღებას და ამ მეთოდების გამოყენების შედეგები გამოიხატება გაუმჯობესებულ აკადემიურ მიღწევებში, რაც უნდა იყოს ნებისმიერი თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულების უპირველესი მიზანი.